პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 69 (13751) | ხუთშაბათი, 23 მარტი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

. მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1967 წლის 11 აპრილს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოდენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1967 წლის 22 მარტი.

ნოგათეგი სამშობლოს

ქარელის რაიონის მშრომელებმა პირობა გასცეს — აცნობეს რედაქციას საქართველოს-კა ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ტოლორაველმა, აღასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. კოპაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. შუბითიძემ, — 19 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 260 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 250 ათასი ცალისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტყავნედლეულის მიყიდვის კვარტლის გეგმა.

ცაგერის რაიონის მშრომელები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. 20 მარტისათვის გადაჭარბებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 131 პროცენტით, რძისა — 133 პროცენტით, კვერცხისა — 128 პროცენტით. ეს აცნობეს რედაქციას პარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ხილაგაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ღურჭუმალიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ონიანმა.

ახმეტის რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ახალი წარმატება მოიპოვეს, — ატყობინებენ „კომუნისტის“ რედაქციას პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბატიაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბაბურიძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ჭუნიაშვილი. ახმეტელებმა 20 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 2.130 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 1.950 ცენტნერისა, 4.670 ცენტნერი რძე ნაცვლად 4.000 ცენტნერისა, ხოლო კვერცხის მიყიდვის დაგალება შესრულებულია 100 პროცენტით. შესრულებულია აგრეთვე ტყავნედლეულის მიყიდვის გეგმები.

სრული მეტალურგიული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგები არ ლალატობენ ტრადიციას. მათ როგორც იანვრის, ისე თებერვლის გეგმა სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს და გამოუშვეს ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

საოქტომბრო შრომითს ვახტს კვლავ წარმატებით ეწევა ო. ლომიძის მეფოლადეთა ბრიგადა. ამ დღეებში ბრიგადამ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. დნობა 5 საათსა და 50 წუთში განახორციელა. ამის შედეგად მიღებული ფოლადი ეკონომია 50 მანეთს აჭარბებს.

აგრეგატებთან, ღუმელებთან მალალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე მეტალურგები მ. სანდერაშვილი, გ. მაღლაფერიძე, ზ. ყველაშვილი და სხვები.

მეაპარატეთა წარმატება

ბასპი. (საკ. კორ.). ქარხნის ეზოში ხშირად შეხვდებით ლამაზად შეფუთულ ელექტრომოწყობილობას, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის მისამართი აწერია. „კასპიელექტროაპარატის“ კოლექტივს მარტო ეს როდი აქვს საამაყო. აქ იმითაც ამაყობენ, რომ ნაყოფიერად დაიწყეს საიუბილეო წელი. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს იანვარ-თებერვლის საწარმოო გეგმები.

მარტო თებერვალში გეგმით გათვალისწინებული 400.000 მანეთის ნაცვლად საშობლოს მისცეს 439.000 მანეთის პროდუქცია. ნაყოფიერად იმუშავა ამწყობი საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ოსტატი ჯ. ზარიძე ხელმძღვანელობს. წარმატებით შრომობენ აგრეთვე კ. პარკაძის და გ. შალუტაშვილის ბრიგადები.

ახლა ქარხნის ყველა უბანსა და ბრიგადაში ფართოდ არის გაშლილი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მეაპარატეებს განზრახული აქვთ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით 18 დეკემბრისათვის დაამთავრონ საიუბილეო წელი.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა საიუბილეო წლის თებერვლის საწარმოო დაგალება გადაჭარბებით შეასრულა და წარმატებით იბრძვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის. საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას ამწყობ ზეინკალთა ი. აფუაშვილის ბრიგადა, რომელიც დღიურ დაგალებას სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებს.

ხერამზე: ბრიგადირი ი. აფუაშვილი (შუაში), ამწყობი ზეინკლები ბ. ბერიძე (მარცხნივ) და შ. ჯაფარიძეშვილი საამქროში მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

დიდი ნდობა

ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს და ამით ერთხელ კიდევ ნათელყვეს მშრომელთა მტკიცე დარაზმულობა, მონოლითური ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

გუშინ გამოქვეყნდა ცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისა ია-ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 19 მარტის არჩევნების შედეგების შესახებ. ჭეშმარიტად კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში ის ფაქტი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატმა, რომლებიც კენჭს იყრიდნენ 399 საარჩევნო ოლქში, მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. ასევე ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებმა. ეს არის საბჭოთა დემოკრატიის გამარჯვება, ხალხის დიდი ნდობა თავიანთი დეპუტატებისადმი.

დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სიას. ეცნობით მას და რწმუნდებით, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საზოგადოების ყველა ფენა ღირსეულად მონაწილეობს. მაგალითად, ახლად არჩეულ 399 დეპუტატს შორის მუშაა 87, ანუ 21,8 პროცენტი, კოლმეურნე — 101, ანუ 25,3 პროცენტი, ქალი — 125, ანუ 31,3 პროცენტი, უპარტიო — 114, ანუ 28,6 პროცენტი.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, რომელიც მოწვეულია 11 აპრილს, მივა 399 დეპუტატი. მათ შორის 280 დეპუტატმა, ანუ 70,2 პროცენტმა პირველად დაიმსახურა ხალხის ესოდენ დიდი ნდობა. რესპუბლიკის მრავალრიცხოვან ადგილობრივ საბჭოებში კი იმუშავებს ათასობით დეპუტატი, მათ შორის ნახევარზე მეტი პირველად არის არჩეული.

დეპუტატი ხალხის მსახურია! ახე სწამს ყველა ამომრჩეველს, როცა ოვ ბმას აძლევს თავის რჩეულ ადამიანს. ეს ყოველ დეპუტატს უდიდეს მოვალეობას აკისრებს.

იყო ხალხის მსახური — ეს ნიშნავს... ახლო ადგე ხალხთან, გესმოდეს მისი ჭირ-ვარამი, მისი სურვილები, ზრუნავდე ხალხისა და ქვეყნის ინტერესებისათვის.

იყო ხალხის მსახური — ეს ნიშნავს ყური დაუგდო მშრომელ ადამიანთა ხმას, უურადღებით მოეკიდო ამომრჩეველთა განაწესს, თვითონ იძლეოდე შრომისა და მოღვაწეობის საუკეთესო მაგალითს.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი ახალი დეპუტატები. ისინი იწყებენ მოღვაწეობას იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა სახელმწიფოს დიადი იუბილესათვის.

იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დასახულია საქართველოს სს რესპუბლიკაში ახალი ხუთწლიანი გეგმით, იმ სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, რომლებიც საიუბილეოდ იკისრეს რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მუშაკებმა, ბუნებრივია, მოითხოვს საბჭოებს მეტ აქტივობას, მათ მუშაობაში ახალი მეთოდებისა და სტილის დანერგვას.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ საგრძნობლად გამოცოცხლდა საბჭოების მუშაობა, მათ მოღვაწეობაში უფრო განსტაცდა დემოკრატიული პრინციპები, რეგულარულად ეწყობა სესიები, დეპუტატებისა და აღმასკომების ანგარიშები.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე მასობრივი რგოლის — მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ეს დადგენილება განსაკუთრებით უსვამს ხაზს ჩვენი პარტიის საპროგრამო საკითხებს — სასოფლო საბჭოების მნიშვნელობის განუხრელ ამაღლებას, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში მისი როლის ზრდას და სახელმწიფო საქმეების მართვაში ხალხის ფართო მასების მიზიდვას.

ადგილობრივი საბჭოების პირველ, საორგანიზაციო სესიაზე არჩეული იქნება ამმასრულებელი კომიტეტები და მუდმივი კომისიები, დამტკიცდება განყოფილებათა ხელმძღვანელები. რამდენადაც ღრმად და საქმიანად მიუდგება სესია მან საკითხის გადაჭრას, მით უფრო მეტი წარმატებები ექნება მას მომავალ მუშაობაში.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩეველებმა გამოთქვეს მრავალი დიდმნიშვნელოვანი წინადადება და შენიშვნები, დეპუტატებს მისცეს განაწესები. ამ შენიშვნებსა და განაწესებში ხალხის სიბრძნე და ნებაა. გულისხმიერად, ყურადღებით უნდა მოვეკაროთ მშრომელთა აზრს, რამდენად უფრო ახლოს მივა ხალხთან და ყურს დაუგდებს მათს სურვილს, წინადადებას, შენიშვნას, იმდენად უფრო ამაღლდება დეპუტატის ავტორიტეტი და სიყვარული მოსახლეობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოებში წელს პირველად არჩეულია ათასობით დეპუტატი. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა სათანადო დახმარება გაუწიონ ახლადარჩეულ დეპუტატებს, შეუქმნან მათ ყველა საჭირო პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

დეპუტატმა — ხალხის რჩეულმა ყოველდღე უნდა ჰკითხოს თავის თავს: რით ვამართლებ ამომრჩეველთა დიდ ნდობას, რა გავაკეთე და კიდევ რა მაქვს გასაკეთებელი ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენი ქალაქის, სოფლის, რაიონის, ოლქის აყვავებისათვის, იმისათვის, რომ გვქონდეს ეტი საცხოვრებელი ბინები, სკოლები, საავადყოფოები, მაღაზიები, გზები, რომ მშრომელი ადამიანი კიდევ უკეთესად ცხოვრობდეს.

არჩევნები დამთავრდა. მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა საბჭოთა დემოკრატიის ტრიუმფი. ახლა საბჭოების წინაშე დიდი საბრძოლო ამოცანებია, პირველ რიგში დაძაბული, შეთანხმებითის შრომასა და მოღვაწეობას მოითხოვს დიადი საიუბილეო წელი.

მაგ შეეფდგეთ ნაყოფიერ შრომას, ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

ქალაქი თბილისი

კურტანიძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოჯე, ავქალის ოლქი.

მეავანაძე ვასილ პაველეს-ძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქარხნო ოლქი.

ტენიშჩევი პავლე ზაქარიას-ძე — თბილისის ციროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი, ღრმაღელის ოლქი.

გვარჯალაძე თამარ ლევანის ასული — თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, ყდანოვის ოლქი.

მიქელაძე გივი შალვას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარე, პიონერის ოლქი.

შევარდნაძე იპოკრატე ამბროსის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, თბილისის ოლქი.

აბუთიძე დავით გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი, ლიკანის ოლქი.

სამხარაძე გიორგი პიმენის-ძე — თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის დირექტორი, ლენინის ოლქი.

გაჩეჩილაძე გივი სერგის-ძე — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, რკინიგზის ოლქი.

არევაძე პაველ გიორგის-ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, ოქტომბრის ოლქი.

პოლოსიანი პეტროს იაგორის-ძე — თბილისის № 1 ავტომშემკეთებელი ქარხნის ხარატი, კუიბიშევის ოლქი.

კვირიკაშვილი ციალა იოსების ასული — თბილისის სართავ-სატრაკტოროო კომბინატის მქსოველი, ლოტკინის ოლქი.

ბერიძე ნოდარ დავითის-ძე — „თბილისმეტროპოლიტენის“ სამმართველოს უფროსი, ბენდელიანის ოლქი.

ჯვარიძე აკაკი პაველს-ძე „თბილისგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, ღიღმის ოლქი.

ჯანანაშვილი ლევან გიორგის-ძე — თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშმწე, დიდუბის ოლქი.

მისიურინი ვასილ იაკობის-ძე — თბილისის ქარხანა „ელექტრომრეკის“ ზეინკალი, ქუთაისის ოლქი.

გოცირიძე ვიქტორ დავითის-ძე — „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი, ტელმანის ოლქი.

რუფოვა ელვირა ივანეს ასული — თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ვაგონშემკეთებელი სახელოსნოს ხარატი, პირველი მაისის ოლქი.

გრიგალაშვილი ბარბარე ნიკოლოზის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი, ჩელუსკინელების ოლქი.

ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, 25 თებერვლის ოლქი.

ბოგდანოვი ივანე ანდრიას-ძე — თბილისის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს მღარავი, ნინოშვილის ოლქი.

სუხიშვილი ილია ილიას-ძე — საქართველოს ხალხური ეკკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირექტორი და მხატვრული ხელმძღვანელი, მარჯანიშვილის ოლქი.

ვაშაძიე გრიგოლ სილიბისტროს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი, ოქტომბრის ოლქი.

დანელია შელტონ მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, მერკვილაძის ოლქი.

აბრამაშვილი ზაქარო გიგოს-ძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, მარქსის ოლქი.

კუდლიანი ქნარიკ ხაჩატურის ასული — თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის სატვიფრი საამქროს მუშა, ტოლსტოის ოლქი.

ბუაჩიძე ანა ჭაჭის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი კომბინატის მუშა, პეტრიწის ოლქი.

ლოგანოვი ვასილ სამსონის-ძე — ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, კლარა ცეტკინის ოლქი.

პისარევა ვალენტინა იაკობის ასული — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, საბჭოს ოლქი.

ჩოფიკაშვილი ვასილ ალექსანდრეს-ძე თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პისარევის ოლქი.

რიგვავა სერგო ტარასის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი, კალინინის ოლქი.

ყღენტი ბესარიონ დავითის-ძე — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ტაბიძის ოლქი.

შენგელაია გივი სერაფიონის-ძე — „მთავართბილმშენის“ სამმართველოს უფროსი, მთაწმინდის ოლქი.

წერეთელი გიორგი ვასილის-ძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ძერჟინსკის ოლქი.

ამირანაშვილი მედეა პეტრეს ასული — ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, რუსთაველის ოლქი.

ბარსუკოვი ბორის ზაქარიას-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, სამრეწველო ოლქი.

წულაია გიური გალაქტიონის-ძე — თბილისის „ელექტროავტომატის“ ქარხნის ამწყობი ზეინკალი, 300 არაგველის ოლქი.

ჩირგაძე ლიანა ივანეს ასული — თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, კიროვის ოლქი.

მარტინოვა მარიამ იოსების ასული — თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ გამომჭრელი, ლესელიძის ოლქი.

შურდუკოვა ლილი ნიკოლოზის ასული — თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის“ მკერავი-მოტორისტი, პუშკინის ოლქი.

ხირაძე ვიქტორია მოსეს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბარათაშვილის ოლქი.

გვრიტიშვილი მარიამ გიორგის ასული — თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მქსოველი, ორჯონიკიძის ოლქი.

ძოწენიძე გიორგი სამსონის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მელიქიშვილის ოლქი.

ბუაჩიძე იოსებ მოსეს-ძე — საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, კეცხოველის ოლქი.

სალუქვაძე ეთერ არტემის ასული — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ვაკის ოლქი.

კარანაძე აკაკი გრიგოლის-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი, სტუდენტთა ოლქი.

ლალიძე რევაზ ილიას-ძე — კომპოზიტორი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ფალიაშვილის ოლქი.

ლაშქარაძე დავით ბესარიონის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების გამგე, კოლხეთის ოლქი.

კაპანაძე ეკატერინე ანდრიას ასული — თბილისის 62 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პავლოვის ოლქი.

ბერიკაშვილი ივანე სოლომონის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ზოგადი ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე, საბურთალოს ოლქი.

პაქსაშვილი რუსუდან გრიგოლის ასული — თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს ნამომსხმელი, ვეძისის ოლქი.

ევანია ნინო აქსენტის ასული — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, დელისის ოლქი.

ჩხუტაშვილი შოთა გაბრიელის-ძე — „მთავართბილმშენის“ № 9 სამშენებლო სამმართველოს კომბლოქსური ბრიგადის ბრიგადირი, მშენებელთა ოლქი.

დოლიძე სიმონ ბესარიონის-ძე — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, გურამიშვილის ოლქი.

ლორთქიფანიძე სიმონ სევერიანის-ძე — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი, ვაჟა-ფშაველას ოლქი.

გომელაური ნიკოლოზ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ნასაკირალის ოლქი.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ცნობა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

(არჩევნების შედეგების ცნობები ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან).

კვირას, 1967 წლის 19 მარტს ჩატარდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადების ვითარებაში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის შექმნილი იყო 52.291 საარჩევნო კომისია, რომელთა შემადგენლობაში მუშაობდა 198.289 კაცი.

არჩევნების დღეს საარჩევნო ბიულეტენების გაცემა და მიღება მიმდინარეობდა 2.993 საარჩევნო უბანში.

ხმის მიცემა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით. არჩევნები ჩატარდა ამომრჩეველთა მაღალი აქტივობისა და ორგანიზებულობის პირობებში, რომელმაც ცხადყო რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. არჩეული არიან: მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, 67 რაიონული საბჭოს, 48 საქალაქო საბჭოს, ქ. თბილისის 7 რაიონული საბჭოს, 909 სასოფლო საბჭოს და 48 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო:

საოლქო საბჭოს არჩევნებში —	ამომრჩეველთა 100 პროცენტმა.
რაიონული საბჭოების არჩევნებში —	99,99 პროცენტმა.
საქალაქო საბჭოების არჩევნებში —	99,99 პროცენტმა.
ქ. თბილისის რაიონული საბჭოების არჩევნებში —	99,99 პროცენტმა.
სასოფლო საბჭოების არჩევნებში —	100 პროცენტმა.
სადაბო საბჭოების არჩევნებში —	100 პროცენტმა.

ამრიგად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ამომრჩეველმა, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის შემდეგმა პროცენტმა:

საოლქო საბჭოში	— 99,97 პროცენტმა.
რაიონულ საბჭოებში	— 99,97 პროცენტმა.
საქალაქო საბჭოებში	— 99,96 პროცენტმა.
ქ. თბილისის რაიონულ საბჭოებში	— 99,96 პროცენტმა.
სასოფლო საბჭოებში	— 99,97 პროცენტმა.
სადაბო საბჭოებში	— 99,91 პროცენტმა.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების მე-100 მუხლის საფუძველზე გაუქმებულია 32 ბიულეტენი.

ამრიგად, ხმის მიცემის შედეგები ცხადყოფენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სასახლო ბლოკის კანდიდატებს.

ხულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 48.217 დეპუტატი. დეპუტატთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი — 22.961, ანუ 47,6 პროცენტი, უპარტიო — 25.256, ანუ 52,4 პროცენტი, მუშები და კოლმეურნეები ერთად — 29.611, ანუ 61,4 პროცენტი, 20.956 ქალი, ანუ 43,5 პროცენტი. არ ყოფილა წინა მოწვევის საბჭოების დეპუტატად 22.877 კაცი, ანუ 47,4 პროცენტი.

სადაბო საბჭოების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არ იქნა არჩეული. ამ საარჩევნო ოლქში მოეწყობა ახალი არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თათბირი ჩაის მექანიზაციის საკითხებზე

ზუგდიდი. (ტელეფონით საკ. კორ.). გუშინ აქ გაიმართა რესპუბლიკური თათბირი ჩაის პლანტაციებში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების საკითხზე. თათბირს დაესწრნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები მეჩაიეობის რაიონებიდან, სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მექანიზატორები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ი. ჭანუყვაძემ.**

მოხსენებები ჩაის კრეფის მექანიზაციის მდგომარეობისა და შემდგომი ამოცანების შესახებ გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **მ. დოლაბერიძემ** და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ **ი. ხოსლოვმა.**

სიტყვებით გამოვიდნენ: ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **რ. დავითულიანი,** ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერი **მ. კონცელიძე,** წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. კვარაცხელია,** ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ხ. აფხაზავა,** გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. ჩაჩიბაია,** გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **გ. მანია,** პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **გ. ვაშაძე,** მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **კ. სამსონია,** „საქართველოს ჩაის“ ტრესტის მმართველი **ო. აბესაძე** და სხვები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა და ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **მ. ლინჭალიამ** და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა **რ. ფანცხავამ.**

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1967 წლის 19 მარტის არჩევნების შედეგები

კვირას 1967 წლის 19 მარტს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა აფხაზეთის ასსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადებამ აფხაზეთის ასსრ მშრომელთა მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაჩაღებული ბრძოლის ვითარებაში ჩაიარა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებლად შეიქმნა 130 საარჩევნო ოლქი.

ხმის მიცემა საარჩევნო უბნებში ყველგან დილის 6 საათზე დაიწყო და საღამოს 10 საათზე დამთავრდა ადგილობრივი დროით. არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში.

ყველა ხაოლქო საარჩევნო კომისიამ ზუსტად არჩევნების დებულების შესაბამისად დათვალა ხმები, განსაზღვრა არჩევნების შედეგები თითოეულ ოლქში და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა ცნობები ხმის მიცემის შედეგების შესახებ.

ხაოლქო საარჩევნო კომისიათა მონაცემებით, მთლიანად აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ამომრჩეველთა სიებში იყო 267.059 კაცი. აქედან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 267.052 კაცმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა 266.966 ამომრჩეველმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 74 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,03 პროცენტმა. „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 79-ე მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ჩაითვალა 12 ბიულეტენ

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

(გაგრძელება)

აკოფოვა ამალია აბრამის ასული — თბილისის კერამიკული კომბინატის საშახტერო საამქროს ჩამომსხმელი, 26 კომისრის ოლქი.

კორშია ალექსანდრე ვარლამის-ძე — მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შაუმიანის ოლქი.

მოხაშვილი თეიმურაზ ილიას-ძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი, ჯაფარიძის ოლქი.

რასანაში მარიამ მიხეილის ასული — თბილისის მარმელადის ფაბრიკის შემფუთველი, წერეთლის ოლქი.

ხუნდაძე გიორგი რომანის-ძე — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, ფიოლეტოვის ოლქი.

ბადრაძე ელგუჯა გიგოს-ძე — თბილისის საავეჯო საწარმოთა გაერთიანება „განთიადის“ მწნეხავთა ბრიგადირი, მახათის ოლქი.

მეტლენკოვა ლარისა ვლადიმერის ასული — ქარხანა „თბილხელსაწყოს“ ამწყობი ზეინკალი, ი. ჭავჭავაძის ოლქი.

კუპატაძე თენგიზ შალვას-ძე — თვითმფრინავ ტუ-104-ის მეთაური, რუსთაველის ოლქი.

ჭელიძე ელიშუქ შალვას-ძე — „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის თბილისის საწარმოო კომბინატის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი, კახეთის ოლქი.

ჩხეიძე მიხეილ ფილიპეს-ძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, ისნის ოლქი.

ხვიდელიანი იაკობ რომანის-ძე — დიმიტროვის სახელობის ქარხნის დიოექტორი, 5 დეკემბრის ოლქი.

ახათიანი ვლადიმერ ალექსის-ძე — დიმიტროვის სახელობის ქარხნის ამწყობი ზეინკალი, ნავთლუღის ოლქი.

ვლახოვა ლუნა ანდორეს ასული — თბილისის ფარმაკოქიმიური ქარხნის საამპულე საამქროს მემანქანე, დიმიტროვის ოლქი.

დრაგუნსკი დავით აბრამის-ძე — გენერალ-ლეიტენანტი, ამერიკაკავკასიის საშტაბო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, ლენინის ოლქი.

გარდაბნის რაიონი

ნადაშვილი გიორგი ლევანის-ძე — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, მარტყოფის ოლქი.

კვინლაძე იაკიმე ირაკლის-ძე — ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორხევის ოლქი.

ჩოხელი მარიამ გიორგის ასული — ღიღმის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, დიღმის ოლქი.

გელაშვილი დიმიტრი ვასილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე, კოჯრის ოლქი.

შამედოვა სურაია მამედ ყუნი — რუისხოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, ქესალოს ოლქი.

ელიგულაშვილი რაფიელ სიმონის-ძე — სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სართიჭალის ოლქი.

ალიევა გულსანამ ახმედ ყუნი — გარდაბნის კიროვის სახელობის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, გარდაბნის ოლქი.

ბერძენიშვილი პავლე ეპიფანეს-ძე — საქართველოს სსრ პროკურორი, აღთაღლის ოლქი.

მცხეთის რაიონი

გოგიჩაიშვილი მიხეილ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, მცხეთის ოლქი.

კავთიაშვილი გიორგი ქრისტეფორეს-ძე — საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი, მუხრანის ოლქი.

ბიჩინაგაური ელენე გიორგის ასული — საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრი, ნატახტრის ოლქი.

კასპის რაიონი

მანძულაშვილი ვარდენ დავითის-ძე — კასპის ცემენტის ქარხნის უფროსი მემანქანე, კასპის ოლქი.

ჭერქაძე ვლადიმერ გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი, ახალქალაქის ოლქი.

ბუდაღაშვილი აღფეზ სერგოს-ძე — სოფ. სამთავისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ქგომი ჯალის ოლქი.

მარიდაშვილი სოფიო ანდრიას ასული —სოფ. ქგომი გომის კოლმეურნეობის მეეარხლე, კავთისხევის ოლქი.

მელაძე ალექსანდრე ერასტის-ძე — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი, ყარალეთის ოლქი.

გორის რაიონი

გიგიბერია ბორის გერასიმეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, შავშვების ოლქი.

ეცადაშვილი შოთა მათეს-ძე — სოფ. ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მეჯვრისხევის ოლქი.

ბიძინაშვილი გურამ პეტრეს-ძე — სოფ. კარბის კოლმეურნეობის წევრი, ტყვიავის ოლქი.

ქარუმაძე იოსებ გიორგის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე, ქარელეთის ოლქი.

მელანაშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე — სოფ. ნიქოზის კოლმეურნეობის ბრიგადირი, შინდისის ოლქი.

გოცირიძე ბეგრატ საბას-ძე — გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ხიდისთავის ოლქი.

თათარაშვილი შოთა მიხეილის-ძე—საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი, ატენის ოლქი.

ქალაქი გორი

ყანჩაველი მარიამ გიორგის ასული — გორის საკონსერვო ქარხნის ბრიგადის ხელმძღვანელი, ლენინის ოლქი.

ბერიანიძე შალვა ზაქარიას-ძე — საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ჭავჭავაძის ოლქი.

ბესტავაშვილი კარლო ნიკოლოზის-ძე — გორის ბამბეულის კომბინატის ქვეოსტატი, მშვიდობის ოლქი.

КОМУНИСТИ

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 23 მარტი, 1967 წ.

ჭარელის რაიონი

აბაშიშვილი დიმიტრი მიხეილის-ძე — დაბა ქარელის კოლმეურნეობის მეხილეთა ბრიგადირი, ქარელის ოლქი.

ტოლიაშვილი იაკობ ალექსის-ძე — საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველი მდივანი, რუსის ოლქი.

ფრუიძე რევაზ იაკობის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ავარის ოლქი.

ბერიძე ანდრო ვასილის-ძე — სოფ. დვანეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამბისის ოლქი.

ელჩიბეგაშვილი ნინო ალექსის ასული — სოფ. კეხიჯვრის კოლმეურნეობის წევრი, კეხიჯვრის ოლქი.

ხაშურის რაიონი

რობაქიძე ოთარ ივანეს-ძე — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე, ლენინის ოლქი.

მამათელაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი, რუსთაველის ოლქი.

ლაბაძე ეფროსია კონსტანტინეს ასული — დაბა სურამის კოლმეურნეობის მწველავი, სურამის ოლქი.

ჩოდრიშვილი ოსეგბ. ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ქვემეხეთის ოლქი.

მაღალაშვილი დურმიშხან დიმიტრის-ძე — საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი, ალის ოლქი.

ბორჯომის რაიონი

კუხიანიძე ზაზა ერმალოს-ძე — საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი, ბორჯომ-ბაღის ოლქი.

ქართველიშვილი თამარ იორდანეს ასული — ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის მედუნე, ბორჯომის ოლქი.

ხარალიძე ნანული ვლადიმერის ასული — სოფ. ქვაბისხევის კოლმეურნეობის მწველავი, წყლვერის ოლქი.

ახალციხის რაიონი

პაატაშვილი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი, ლენინის ოლქი.

ელბაქიანი სედა სურენის ასული — სოფ. ჭაჭარაქის კოლმეურნეობის მწველავი, ჯაფარიძის ოლქი.

ჯვარიძე ავთანდილ სიმონის-ძე — ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველოს № 1 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი, ვალეს ოლქი.

გრძელიშვილი შალვა ონისიმეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, აწყურის ოლქი.

ბარძიმოვი გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი, წყალთბილის ოლქი.

ადიგენის რაიონი

ბოჩიკაშვილი თამარ პეტრეს ასული — სოფ. უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, ადიგენის ოლქი.

შეკვაბიშვილი ამირან ზაქარიას-ძე — საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი, აბასთუმნის ოლქი.

ასპინძის რაიონი

ისაკაძე ლევან მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი, ასპინძის ოლქი.

ახალქალაქის რაიონი

პეტკოვი ნიკოლოზ დენისის-ძე — გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების პოლიტგანყოფილების უფროსი, საქალაქო ოლქი.

პეტროსიანი სამონ პეტროსის-ძე — საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი, სასოფლო ოლქი.

ნორვარდიანი აშოთ მარტიროსის-ძე— სოფ. ბურნაშეთის კოლმეურნეობის წევრი, ალასტანის ოლქი.

არზუმანიანი გურგენ ხაჩატურის-ძე— სოფ. ბარალეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ბარალეთის ოლქი.

ბლრციანი აკოფ არამის-ძე — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი, დილისკის ოლქი.

კაზარიანი უსიკ ავეტისის-ძე — ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ოკამის ოლქი.

ბოგდანოვკის რაიონი

დურგარიანი ვარდ არუთინის-ძე—საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი, ბოგდანოვკის ოლქი.

დარბინიანი ვარაზდატ გევორქის-ძე — სოფ. უჩმანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯიგრაშენის ოლქი.

აივაზიანი არუსიაკ სარქისის ასული — განძის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, განძის ოლქი.

დმანისის რაიონი

მამედოვა ზახრა მუსა ყუნი — დმანისის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, გომარეთის ოლქი.

ალიევი ახვერ გაჯის-ძე — ბაშკიჩეთის სახელმწიფო ჯიშთსანაშენოს ბრიგადირი, ამამლოს ოლქი.

მანთაშვილი ზაქარია ბეგლარის-ძე — საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი, დმანისის ოლქი.

წალკის რაიონი

ავრაამოვა ფეოდორა იაკობის ასული — წალკის მეზრაცობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, წალკის ოლქი.

ჯანჭლავა ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე— არმაის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ბეშთაშენის ოლქი.

ტერფანიანი აღასინ გევორქის-ძე — სოფ. ამაღალას კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ივრანლოს ოლქი.

ხომერიკი იური ივანეს-ძე — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, ედიქილისის ოლქი.

მაკაროვი ათანასე კუზმას-ძე — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი, ბედიანის ოლქი.

თეთრიწყაროს რაიონი

ელოშვილი ილია ნიკოლოზის-ძე — საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივანი, თეთრიწყაროს ოლქი.

გნეტოვა ანა დიმიტრის ასული — სოფ. ალვეთის კოლმეურნეობის მწველავი, მანგლისის ოლქი.

კენკებაშვილი აკაკი იოსების-ძე — სოფ. კოდის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ასურეთის ოლქი.

ბოლნისის რაიონი

ლაბახუა არქაკი მირონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბოლნისის ოლქი.

გუხეინოვი ფაშა ისა ოღლი — სოფ. სარაჩლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადის ბრიგადირი, ფარახლოს ოლქი.

ბაირამოვი ტამამ ასკერ ყზი — სოფ. ამორასანის კოლმეურნეობის წევრი, არახლოს ოლქი.

გაგოშიძე შოთა ესტატეს-ძე — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი, ქვეშის ოლქი.

სანაკოევ ვლადიმერ კირილეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი, ქვემო ბოლნისის ოლქი.

მარნეულის რაიონი

შარაშიძე დავით გიორგის-ძე, — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი, მარნეულის ოლქი.

ვერდიევა სონა შუხტარ ყზი — ალგეთის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, ალგეთის ოლქი.

გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ორჯონიკიძის ოლქი.

შამილოვი ზიათხან გამად ოღლი — ყაჩაღნის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ყაჩაღნის ოლქი.

ყულიევი მაბმუდ ყულის-ძე — მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შულავერის ოლქი.

ნემსაძე მოთა ბათლომეს-ძე — საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი, შაუმიანის ოლქი.

ალექბეროვ რეიხან ასკერ ყზი — სოფ. დამიანიყარახლის კოლმეურნეობის წევრი, სადახლოს ოლქი.

ქალაქი რუსთავი

შარაძენიძე სოლომონ ავთანდილის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ვაჟა ფშაველას ოლქი.

ჯაფარიძე ზურაბ სერგოს-ძე — ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის მმართველი, გურამიშვილის ოლქი.

ხარბედია ლუდუკი სიმონის-ძე — საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლენინის ოლქი.

მალალფერიძე გივი ონისიმეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგალნავი საამქროს უფროსი მგლინავი, მეტალურგთა ოლქი.

ჯაფარიძე რუსუდან ალექსანდრეს ასული — რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კომკავშირელთა ოლქი.

პოლინცევა ალა ანატოლის ასული — რუსთავის ქიმკომბინატის ლაბორანტი, ქიმიკოსთა ოლქი.

ბგუზდიკოვი ვასილ დიმიტრის-ძე — „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის საშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირი, მშენებელთა ოლქი.

ყაზბეგის რაიონი

ფირანიშვილი ვალერიან ალექსის-ძე — საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი, ყაზბეგის ოლქი.

დუშეთის რაიონი

ბექაური ალექსი სიმონის-ძე — საქართველოს სამტრესტის მმართველი, დუშეთის ოლქი.

კედელაშვილი ელენე ზაქარიას ასული — სოფ. ბაზალეთის კოლმეურნეობის მწველავი, ბაზალეთის ოლქი.

შადური არჩილ ივანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი, ფასანაურის ოლქი.

ნარიმანიშვილი სოლომონ ხვიტბერის-ძე — მაღაროსკარის კოლმეურნეობის მწყემსი, ყინწვისის ოლქი.

თიანეთის რაიონი

მგელიაშვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი, თიანეთის ოლქი.

კაციშური თამარ ივანეს ასული — სოფ. გორანის კოლმეურნეობის წევრი, ხევსურთსოფლის ოლქი.

გურჯაანის რაიონი

აზაურაშვილი გივი ევგენის-ძე — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, საქალაქო ოლქი.

კულულაშვილი შოთა მოსეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე, შაშიანის ოლქი.

მეგრაველი როინ ვიქტორის-ძე — საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. ვეფისციხის ოლქი.

ბერულაშვილი მერი სავლეს ასული— სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობის წევრი, ახაშენის ოლქი.

ლელაშვილი მიხეილ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ვეჯნისის ოლქი.

თანდაშვილი ვარდიკო ტიტიას ასული —კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, კარდანახის ოლქი.

უამბარაშვილი შალვა გიორგის-ძე — სოფ. არაშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კაკრეთის ოლქი.

საგარეჯოს რაიონი

მჭედლიშვილი დავით ვასილის-ძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საგარეჯოს ოლქი.

ოქრომჭედლიშვილი ზინაიდა ალექსანდრეს ასული — სოფ. კაკაბეთის XXI პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მანავის ოლქი.

პატარაკაცაშვილი შოთა სანდროს-ძე— სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობის მწველავი, პატარძეულის ოლქი.

საბაშვილი ოთარ გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი, უანდაურის ოლქი.

სიღნაღის რაიონი

ნონეშვილი იოსებ ელიოზის-ძე — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, საქალაქო ოლქი.

ყანჩაშვილი ელენე თომას ასული — სოფ. ვეკირის კოლმეურნეობის წევრი, ანაგის ოლქი.

გიგოშვილი არჩილ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი, მაღაროს ოლქი.

გელაშვილი დიმიტრი ლევანის-ძე — საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი, წნორის ოლქი.

დოლმაზაშვილი ავთანდილ რომანის-ძე — სოფ. ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტიბაანის ოლქი.

წითელწყაროს რაიონი

იაკობიშვილი თენგიზ გიორგის-ძე — სოფ. ზემო მაჩხანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, არბაზიკის ოლქი.

ყოჩიაშვილი ნიკოლოზ სტეფანეს-ძე— სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასოფლო ოლქი.

გონაშვილი ამირან ივანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი, საქალაქო ოლქი.

მაისურაძე ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ზემო ქედის ოლქი.

ლაგოდეხის რაიონი

ვადაჭკორია ვალერი ივლიანეს-ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი, ლაგოდეხის ოლქი.

აბრამიშვილი იორდანე სოლომონის-ძე — სოფ. ნინიგორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარე, ვარდისუბნის ოლქი.

ლისიაკოვა კლავდია ანდრიას ასული — სოფ. ყარსუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ბაისუბნის ოლქი.

მჭედლიძე ეშხან გიორგის ასული — სოფ. აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრი, აფენის ოლქი.

უნგიაძე ვახტანგ ვასილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი, ლელანის ოლქი.

ყვარლის რაიონი

ზაუტაშვილი გივი იასეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი, ახალსოფლის ოლქი.

სალირაშვილი ანა ნიკოლოზის ასული — ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ყვარლის ოლქი.

ჯავახიძე ნიკოლოზ სტეფანეს-ძე — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ეხისელის ოლქი.

სეფაშვილი ინდიკო სიკოს-ძე— სოფ. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შილდის ოლქი.

თელავის რაიონი

თოხაძე ვახტანგ ზაქარიას-ძე — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ლენინის ოლქი.

კუპავა მიტროფანე იონას-ძე — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ნინიგორის ოლქი.

არავაძე შალვა ზაქარიას-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახე, წინანდლის ოლქი.

ვარდოშვილი ალექსანდრე ლევანის-ძე — საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი, კუოდღელაურის ოლქი.

შათირიშვილი მაყვალა ნიკოლოზის ასული — სოფ. იყალთოს კოლმეურნეობის წევრი, იყალთოს ოლქი.

ხოლუაშვილი ზიზი სოლომონის ასული — ნაფარეულის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ნაფარეულის ოლქი.

ახმეტის რაიონი

ვარაზაშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი, ახმეტის ოლქი.

ჯანიბეგაშვილი ეკეკუნა გიორგის ასული — სოფ. მატნის კოლმეურნეობის წევრი, მატნის ოლქი.

ჯამრულიძე კონსტანტინე ერასტის-ძე — ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ზემო ალვანის ოლქი.

ბატიაშვილი ალექსი გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი, ქისტაურის ოლქი.

ორჯონიკიძის რაიონი

მურუსიძე ვახტანგ იასონის-ძე — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, ორჯონიკიძის ოლქი.

ლომსაძე ეკეკუნა დავითის ასული — მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მუშა, მოლითის ოლქი.

წიქარიშვილი მარიამ რაჟდენის ასული — სოფ. საქასრიის კოლმეურნეობის წევრი, ბორითის ოლქი.

ჯოგლაძე შოთა პარმენის-ძე — საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი, კიცხის ოლქი.

ზესტაფონის რაიონი

ბუცხრიკიძე ზურაბ ბიქტორის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდინარეთა ბრიგადირი, ლენინის ოლქი.

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, გორკის ოლქი.

ჯუღელი გუგული სიმონის ასული — სოფ. მეორე სვირის კოლმეურნეობის წევრი, მეორე სვირის ოლქი.

მერკვილაძე ვლადიმერ ნესტორის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, კვალითის ოლქი.

გელაშვილი ციალა ლეონტის ასული — სოფ. ფუთის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ძირული ოლქი.

ვერულაშვილი შოთა ამბროსის-ძე — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი, ზედა საქარის ოლქი.

ხოხლოვი ივანე მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, ქვედა საქარის ოლქი.

ქალაქი ჭიათურა

გოგატიშვილი ვარდენ ვლადიმერის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ახალი-ათხვისის მაღაროთ სამმართველოს მებიგე, საქალაქო ოლქი.

ჭილაძე შალვა ნიკიფორეს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მებიგე-გამყვანი, ლენინის ოლქი.

პატარიძე ზურაბ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნიგოზეთის ოლქი.

დარბაძე ნინო გიორგის ასული — სოფ. პერეკეთის კოლმეურნეობის მეჩაიეობის ბრიგადირი, სვერის ოლქი.

გელბახიანი პეტრე გედეონის-ძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, ზოდის ოლქი.

ჭირაქაძე არჩილ ვარლამის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, კაცხის ოლქი.

საჩხერის რაიონი

დურმიშიძე სერგო ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი, საჩხერის ოლქი.

კაპანაძე ანა იასონის ასული — საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საირხის ოლქი.

თოდაძე გიორგი გრიგოლის-ძე — სოფ. არგვეთის კოლმეურნეობის წევრი. არგვეთის ოლქი.

ნოზაძე პროკოფი მინას-ძე — საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი, კორბოულის ოლქი.

თერჯოლის რაიონი

ნემსაძე ვალერიან ილარიონის-ძე — სოფ. თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, თერჯოლის ოლქი.

ბარდაველიძე ეუეკუნა კალისტრატეს ასული — სოფ. ეწერის კოლმეურნეობის მეჩაიე-მერგალელი, ჩხარის ოლქი.

საყვარელიძე ლევან აბოს-ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, საჩხერის ოლქი.

ყიფიანი იოსებ დავითის-ძე — საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი, ქვედა სიმონეთის ოლქი.

ქალაქი ქუთაისი

ჯღამაძე ია შა გრიგოლის-ძე — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროს ზეინკალი, ორჯონიკიძის ოლქი.

ყანჩელი ანტონ გიორგის-ძე — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მემოდელე, ვაჟა-ფშაველას ოლქი.

მჭედლიშვილი გურამ შალვას-ძე — ქუთაისის № 4 საამშენებლო ტრესტის პირველი საამართველოს ჯალატოზი, რუსთაველის ოლქი.

სიხარულიძე სერგო სილიბისტროს-ძე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ლესელიძის ოლქი.

კობალაძე გიორგი ბარნაბის-ძე — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი, თბილისის ოლქი.

პაპასკირი დალი დავითის ასული — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველი, ძერჟინსკის ოლქი.

ცქვიტინიძე უჩა ფოკას-ძე — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, წერეთლის ოლქი.

ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, კიროვის ოლქი.

ამირანაშვილი შალვა იასონის-ძე — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, ლენინის ოლქი.

ფორფიაშვილი გრიგოლ დავითის-ძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, მაიაკოვსკის ოლქი.

სვანაძე მზიალა ტიტიკოს ასული — ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა, წულუკიძის ოლქი.

ჩიხლაძე ბერი დიანოზის ასული — ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომჭრელი, ნინოშვილის ოლქი.

არომელაძე ილია დავითის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, ჭავჭავაძის ოლქი.

წყალტუბოს რაიონი

ჩიხლაძე მიხეილ თეოფანეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქალაქო ოლქი.

ჩავჩიძე შალვა ლუკას-ძე — სოფ. გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასოფლო ოლქი.

ჯაფარიძე ერმალოზ მინას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მაღლაკის ოლქი.

ჯანელიძე ლილი ერისტოს ასული — სოფ. პატრიკეთის კოლმეურნეობის წევრი, ოფუჩკეთის ოლქი.

ვაშაძე გივი გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი, ქვიტირის ოლქი.

ბოგლიჩაძე ნაზი გიორგის ასული — სოფ. რონის კოლმეურნეობის წევრი, ოფურჩხეთის ოლქი.

ქალაქი ტყიბული

ლანჩავა მამონტი ივლიანეს-ძე — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთ შახტის საწმენდი სანგრევის მუშა, ლენინის ოლქი.

ლომაძე კარლო მელენტის-ძე — საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ოქტომბრის ოლქი.

ქედლიშვილი ეფრი ივანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე, საწერის ოლქი.

ჩუბინიძე ცაცა პარმენის ასული — სოფ. ოკოლის კოლმეურნეობის მეჩაიე, ორპირის ოლქი.

ამბროლაურის რაიონი

კერესელიძე ნათელა სევერიონის ასული — სოფ. სადმელის კოლმეურნეობის წევრი, ამბროლაურის ოლქი.

ლეჟავა ზურაბ პლატონის-ძე — საქართველოს სსრ მზატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ჭრებალოს ოლქი.

ბიბილაშვილი მელქო ალფეზის-ძე — საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკ

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

(დასასრული)

ნანეიშვილი ვლადიმერ ვარდენის-ძე — საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, ორჯონიკიძის ოლქი.

ქალაქი ტყვარჩელი

ადამენკო ლუბა პავლეს ასული — ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 3 შახტის ბრიგადირი, ტყვარჩელის ოლქი.

სიმონიშვილი მიხეილ ივანეს-ძე — ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 5 შახტის უფროსი, კვეზანის ოლქი.

ბიგვავა მიხეილ ვართენის-ძე — ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის № 2 შახტის მნგრეველთა ბრიგადირი, აკარმარის ოლქი.

გაგრის რაიონი

ჭიაურელი ვლადიმერ ივანეს-ძე — საქართველოს დეპუმთა საგენტოს დირექტორი, გაგრის პირველი ოლქი.

ხასია ნიკოლოზ რაფდენის-ძე — სოფ. ლოხაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გაგრის მეორე ოლქი.

ცინდელიანი თამარ სევერიანეს ასული — სოფ. მიქელრიფშის კოლმეურნეობის წევრი, ბაღნარის ოლქი.

ლოლობერიძე ვიტალი დავითის-ძე — საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანი, გახთიადის ოლქი.

ავრბა ტატიანა ალექსის ასული — სოფ. ლიძავის კოლმეურნეობის წევრი, ბზიბის ოლქი.

გუდაუთის რაიონი

დბარ ლუსია სიმონის ასული — სოფ. მუგუძირხვის კოლმეურნეობის წევრი, ბარმიშის ოლქი.

ლაკო�e ვლადიმერ ანტონის-ძე — სოფ. დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლიხნის ოლქი.

დვალი რაფიელ რაფიელის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გუდაუთის ოლქი.

ბაზბა ხეკურ შაადათის ასული — სოფ. აიცის კოლმეურნეობის წევრი, აჭანდარის ოლქი.

სოხუმის რაიონი

დანილოვსკი გიორგი როდიონის-ძე — გენერალ-მაიორი, ეშერის ოლქი.

ზაქარაია ვაჟა ლევანის-ძე — სოფ. ინაფელ ინაფარის ქადაგოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, გუმისთის ოლქი.

ბარათაშვილი მედეა შალვას ასული — სოფ. ბესლეთის კოლმეურნეობა „აბეაყვას" წევრი, ბესლეთის ოლქი.

გულრიფშის რაიონი

რურუა ევდოკია იაკობის ასული — სოფ. მაჭარის კოლმეურნეობის წევრი, მერხეულის ოლქი.

მარკოსიანი ანგინ პეტროსის ასული — სოფ. ამტყელის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, წებელდის ოლქი.

სერგუნინა მარიამ ივანეს ასული — სოფ. გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, გულრიფშის ოლქი.

თოფურიძე მიხეილ ესტატეს-ძე — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, დრანდის ოლქი.

ზარანდია ზოშა რომანის ასული — სოფ. ბაბუშარის კოლმეურნეობა „საქართველოს" წევრი, ბაბუშარის ოლქი.

ოჩამჩირის რაიონი

ხუროძე ადოლფ ვარლამის-ძე — საქართველოს სსრ ხორციისა და რძის მრეწველობის მინისტრი, ანიუბეის ოლქი.

დავითაშვილი მიხეილ დანიელის-ძე — „გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორი, ტამიშის ოლქი.

შინკუბა ბაგრატ ვასილის-ძე — აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქოჩარის ოლქი.

ტორჩუა ნუცა კონსტანტინეს ასული — სოფ. თხინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, მოქვის ოლქი.

ამიჩბა ივანე გამსარატის-ძე — საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი, ოჩამჩირის ოლქი.

შაკაია ილარიონ ჩაგუს-ძე — სოფ. აგუბედის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების" თავმჯდომარე, ფოქვეშის ოლქი.

გალის რაიონი

დანილოვა მარიამ ტიხონის ასული — აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა, აჩიგვარის ოლქი.

გოგობია დამიანე ვლადიმერის-ძე — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, გალის ოლქი.

ჯინჯოლია ალექსანდრა დიტოს ასული — სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ოქუმის ოლქი.

ბუტბაია ქეთო ჯაგის ასული — სოფ. ზემო ბარღების კოლმეურნეობა „გიგანტის" წევრი, ბარღების ოლქი.

ყოლბაია ციალა ბარის ასული — სოფ. ჭუბურხინჯის კოლმეურნეობის წევრი, ჭუბურხინჯის ოლქი.

ჭილაია სერგი ესტატეს-ძე — საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ნაბაკევის ოლქი.

აჭარის ასსრ ქალაქი ბათუმი

თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის-ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, გოგებაშვილის ოლქი.

უალება ლევან მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ლენინის ოლქი.

კოპლატაძე ადერკინ ივანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ოქტომბრის ოლქი.

დიასამიძე შალვა ახმედის-ძე — № 5 ტრესტის სპეცმუშაობების სამმართველოს მლესავთა ბრიგადირი, გორკის ოლქი.

ცინცაძე გიორგი ილიას-ძე — ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი, ენგელსის ოლქი.

მეფარიშვილი ზინაიდა შალვას ასული — ბათუმის მექანიკური ქარხნის ლუმინესცენციური საამქროს მღებავი, ჯაფარიძის ოლქი.

დუმბაძე ალექსი ხასანის-ძე — ბათუმის გემთსაშენი ქარხნის ზეინკალი, ფრუნზეს ოლქი.

კაჭარავა ანატოლი ალექსის-ძე — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი, ქარხნის ოლქი.

ქობულეთის რაიონი

ხიორიძე რუბენ მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი, ქობულეთის ოლქი.

ლომაკინა ანა ტიხონის ასული — ორხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა, მუზაესტატეს ოლქი.

პაპუნაიშვილი ეთერ მემედის ასული — სოფ. გვარას კოლმეურნეობის წევრი, ხუცუბნის ოლქი.

მახაძე შაქირ ოსმანის-ძე — სოფ. ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბობოყვათის ოლქი.

ელენიდი ხრისტოლა პანტელის ასული — სოფ. ქვედა აჭყვის კოლმეურნეობის წევრი, ჩაქვის ოლქი.

გათუმის რაიონი

კომახიძე რევაზ მურადის-ძე — აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მანინჯაურის ოლქი.

ფალავანდიშვილი ნაზი ოსმანის ასული — სოფ. ჩაისუბნის კოლმეურნეობის წევრი, ჩაისუბნის ოლქი.

ჩხეიძე დავით ნესტორის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამმართველოს უფროსი, ურეკის ოლქი.

ვარშალომიძე მაყვალა ხასანის ასული — სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრი, ხელვაჩაურის ოლქი.

აბაშიძე გრიგოლ გრიგოლის-ძე — ეურნალ „მნათობის" რედაქტორი, აჭარისწყლის ოლქი.

ქედის რაიონი

კატაშვილი ივანე სერგის-ძე — გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, ქედის ოლქი.

კონცელიძე ეთერ შაქირის ასული — სოფ. კვაშტის კოლმეურნეობის წევრი, ცხმორისის ოლქი.

შუახევის რაიონი

ბოზრეკანიძე ლილი ახმედის ასული — სოფ. ჭვანის საუბნოთშორისო საავადმყოფოს ექთმი-თერაპევტი, შუახევის ოლქი.

ფუტკარაძე შუშანა შევქეთის ასული — სოფ. კვიახიძეების კოლმეურნეობის წევრი, დღვანის ოლქი.

ხულოს რაიონი

ბუაჩიძე ნინა თეფანის ასული — სოფ. კალოთას კოლმეურნეობის წევრი, ხიხაძირის ოლქი.

მამულაძე დავით მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის, საფინანსო და საგეგმო ორგანოების განყოფილების გამგე, ხულოს ოლქი.

შავაძე სერეი ეუბის ასული — სოფ. დიოკნისის კოლმეურნეობის წევრი, დიოკნისის ოლქი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ქალაქი ცხინვალი

თედეევი ზნაურ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, კარლ მარქსის ოლქი.

ჯიოევა სვეტლანა ალექსის ასული — ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი-მოტორისტი, ლენინის ოლქი.

ცხინვალის რაიონი

გელაშვილი ვლადიმერ სოლომონის-ძე — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ცხინვალის ოლქი.

ხუბულოვა თამარ შალვას ასული — სოფ. არწევის კოლმეურნეობის წევრი, ქსუისის ოლქი.

ჯავის რაიონი

ხანიკაევი ურუზმაგ მიხეილის-ძე — საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივანი, ჯავის ოლქი.

ბაზაევი გიორგი არჩილის-ძე — კავშირის მაღაროთსამმართველოს მებიგე, კავისის ოლქი.

ზნაურის რაიონი

გასიევი ზნაურ ნიკოლოზის-ძე — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ზნაურის ოლქი.

დურგლიშვილი დმიტრი მიხეილის-ძე — სოფ. ავნევის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, ავნევის ოლქი.

ლენინგორის რაიონი

ქავთარაძე კონსტანტინე ივანეს-ძე — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი, ლენინგორის ოლქი.

დრაიევა სირანა შალვას ასული — სოფ. ორჯონიკიძის კოლმეურნეობის წევრი, წინაგარის ოლქი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საქართველოს კოოპერატორებს — საკავშირო დროშა

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალათასიანმა კოლექტივმა დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და 1966 წელს თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. გადაჭარბებით შეასრულა საქონელბრუნვის, სავაჭრო ქსელის ზრდის, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. ამასთან ერთად სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგში მიღწეულია ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, რის შედეგადაც მიღებულია 3,8 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

შარშან პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებისათვის რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაცია დაჯილდოდა სსრ კავშირის სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის გამგეობისა და სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ხოლო მეორე და მესამე კვარტალების მუშაობის შედეგების მიხედვით აღინიშნა ცეკავშირის სისტემის კარგი მუშაობა.

საქართველოს კოოპერატორები მიღწეულით რიდი დაამაყოფილდნენ. გასული წლის მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღეს მუშაობა. გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეოთხე კვარტალში საცალო საქონელბრუნვის გეგმა, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით შესრულებულია 103,7 პროცენტით, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გეგმები, აგრეთვე შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეგროვების გეგმა.

რესპუბლიკის კოოპერატორებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს სოფლის მშრომელთა საცალო მომსახურება, კიდევ უფრო გააფართოეს საცალო ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება.

გუშინ თბილისში ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრება, რომელიც მიეძღვნა ცეკავშირისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

კრება გახსნა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ტაბაშინაძემ.

ცენტროსოიუზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. იაშინმა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ჯაბახიძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და საქართველოს კოოპერატორებს ახალი წარმატებები უსურვა საიუბილეო წელს. საპასუხო სიტყვაში ნ. ჯავახიძემ მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ცენტროსოიუზის გამგეობას საქართველოს კოოპერატორთა შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ საქართველოს კოოპერატორები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას, უკეთ მოემსახურებიან მშრომელებს, წარმატებით იბრძოლებენ იმისათვის, რომ კვლავაც შეინარჩუნონ გარდამავალი წითელი დროშა და ახალი წარმატებები მოიპოვონ საიუბილეო წელს.

საქართველოს კოოპერატორებს მიესალმა და ახალი წარმატებები უსურვა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ვ. ოსიპაძემ.

კრებს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ჩიქოვანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საგამოსაფინანსო განყოფილების გამგემ დ. მამულაძემ, პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. გრიბალაშვილმა.

სავერთაშორისო კონფერენცია

21 მარტს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" გამოსვლის 50 წლისთავს. კონფერენცია მოაწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტმა აკადემიის სხვა ინსტიტუტების — მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიის ხალხთა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის — ინსტიტუტების, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-საკავშირო ორგანიზაციათა მონაწილეობით. კონფერენცია გაიმართა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მჭიდრო თანამშრომლობის გეგმის შესაბამისად. (საკდესი).

სპარსეთის ყურის შუაგულში, არაბეთის ნახევარკუნძულის გასწვრივ არის კუნძულები, რომლებზეც განლაგებულია არაბული საშეიხო ბაჰრეინი. მრავალი შავი ოქრო გადაუტანია ბაჰრეინის მოსახლეობას.

1820 წელს დიდმა ბრიტანეთმა ბაჰრეინის მმართველთან „მშვიდობის ხელშეკრულება" დადო და „სამეურვეოდ" აიყვანა საშეიხო, რომელიც მალე თავის კოლონიად გადაქცია. მოგვიანებით აქ შეიქმნა მსხვილი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, რომლებიც მოწოდებული იყვნენ დაეცვათ ინგლისელ კოლონიზატორთა ინტერესები.

ამიტომაც არის, რომ ბაჰრეინელები არაერთგზის გამოსულან ოკუპანტთა წინააღმდეგ. მანამის — დედაქალაქის მოედნები და ქუჩები არაერთხელ შეელებილა პატრიოტთა სისხლით. ზემო სურათზე: მანამის ცენტრი. ქვემო სურათი კი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მრავალაუკუნოვანი ბრძოლის კიდევ ერთი უტყვი მოწმეა. მასზე აღბეჭდილია 1521 წელს აშენებული პორტუგალური ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

ფოტო რ. მოისეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ხროვაჭეგა

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 21 მარტი. (საკდესი). ჩაიფუშა უდიდესი სადამსჯელო ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ჯონს-86-სიტი", რომელიც ამერიკელებმა წამოიწყეს სამხრეთ ვიეტნამის ტაინინის პროვინციაში.

23 დღის სასტიკი ბრძოლების დროს განთავისუფლების ჯარებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 4.500 ამერიკელი და 62 სამხრეთკორეელი ჯარისკაცი. ჰანოის გაზეთი „ქუან დი ნიან ზანი", რომელიც ამას იუწყება, აღნიშნავს აგრეთვე, რომ ამ დროის მანძილზე ამერიკის ჯარებმა დაკარგეს 406 ტანკი და ჯავშნსანი მანქანა, 55 ქვეთეხი, 83 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

გაზეთი აშუქებს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ამ დიდ წარმატებას და წერს: ამერიკელი აგრესორები აწყობდნენ გეგმებს, რომ დაანგრევდნენ რეგოლუციურ ბაზებს, მოსპობდნენ განთავისუფლების არმიის რეგულარულ ნაწილებს და „დაეშოშმინებდნენ" ამ რაიონს. მაგრამ ეს სადამსჯელო ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობდა 45 ათასი ჯარისკაცი, მთლიანად ჩაშალა.

ლ. ჯონსონის განცხადება

ვაშინგტონი, 22 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი, სახელმწიფო მდივანი რასკი და თავდაცვის მინისტრი მაკნამარა გუშინ დაბრუნდნენ ამერიკის დედაქალაქში წყნარი ოკეანის გუამის კუნძულიდან, სადაც ამერიკის მთავრობის ხელმძღვანელებმა საიგონში მყოფ ამერიკელ სამხედრო წარმომადგენლებთან და საიგონის რეჟიმის მოღვაწეებთან თათბირის დროს განიხილეს ვიეტნამის ომთან დაკავშირებული საკითხები.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, კვლავაც შეასრულებთ მოვალეობას ვიეტნამში", — განაცხადა ჯონსონმა, როგორც კი მისი თვითმფრინავი დაეშვა სამხედრო-საჰაერო ბაზაში ვაშინგტონის ახლოს. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „ვაჭიგრძოონ მეცადინეობა, რომლის მიზანია საპატიო ზავის დადების გზების ძიება". პრეზიდენტმა თქვა: როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოვფრინავდი, შევიტყვე, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამს გამოუქვეყნებია ის ამბავი, რომ მე და ხო ში მინმა წერილები გავეცვალეთ ერთმანეთსო. ჯონსონმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამმა უარი თქვა წინადადებაზე დაიწყოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ცნობილია, მზად არიან მოლაპარაკება აწარმოონ მხოლოდ საკუთარი პირობებით, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ვიეტნამის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების ამოცანასთან.

მდგომარეობა ჯიბუტში

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც ჯიბუტიდან იტყობინებიან, დღეს საფრანგეთის სომალის ადმინისტრაციულ ცენტრში ჩავიდნენ საფრანგეთის არმიის რიგითი ნაწილების პარაშუტისტ-ჯარისკაცთა ახალი ჯგუფები. სულ უკანასკნელი ორი დღის მანძილზე საფრანგეთიდან ჯიბუტში გაიგზავნა 1000-მდე პარაშუტისტი.

საფრანგეთის სომალიში ამჟამად არის საფრანგეთის არმიის, „უცხოეთის ლეგიონისა" და საზღვაო ქვეითი ჯარის დაახლოებით 2.500 ჯარისკაცი.

ი ს ე ვ ნ ი ქ ს ო ნ ი?

ვაშინგტონი, 22 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება:

ვაშინგტონის სასტუმრო „შორეულ ბემში" გაიხსნა მთავარი ბინა, რომელიც უხელმძღვანელებს პოლიტიკურ კამპანიას 1968 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად მიჩიგანის გუბერნატორის ჯორჯ რომნის არჩევისათვის. გუბერნატორი ერთ-ერთი წამყვანი პრეტენდენტია პრეზიდენტობის კანდიდატის პოსტზე რესპუბლიკური პარტიისაგან. მოელიან, რომ დაახლოებით ერთ თვეში ვაშინგტონში გაიხსნება მთავარი ბინა პრეზიდენტობის მეორე პრეტენდენტის რესპუბლიკური პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონისა. უკვე არსებობს „პრეზიდენტად ნიქსონის არჩევის" სპეციალური კომიტეტი, რომელიც შექმნეს კონექტიკუტის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ჯონ ლოჯმა, ყოფილმა შინგან საქმეთა მინისტრმა ფრედერიკ სიტონმა და სხვა რესპუბლიკელებმა.

ამ ბოლო დროს რესპუბლიკური პარტიისაგან პრეზიდენტობის ძირითად პრეტენდენტთა შორის სულ უფრო ხშირად ისახელებენ კალიფორნიის გუბერნატორს რეაგანს. რეგანი აპირებს 1968 წელს რესპუბლიკური პარტიის ყრილობის წინ დასახელოს თავისი კანდიდატურა რესპუბლიკელ ამომრჩეველთა პირველადს არჩევნებში ორეგონის, ნებრასკის ვისკონსინის, ნიუ-ჰემპშირის შტატებში. რეგანის კანდიდატურას მხარს უჭერს ამერიკის დასავლეთ შტატების ბევრი გუბერნატორი. პოლიტიკურ მეთვალყურეებს შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ნიქსონის მომხრენი სამხრეთ შტატებში საბოლოო ანგარიშით რეგანს მისცემენ თავიანთ ხმებს რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე. ქვეყნის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილის ამ ბლოკმა შეიძლება გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანოს მას, აცხადებს ზომიერი რესპუბლიკური ორგანიზაციის „საზოგადოება რიპონის" ხელმძღვანელობა. რეგანის კანდიდატურა, ნათქვამია „საზოგადოება რიპონის" განცხადებაში, ქმნის საფრთხეს, რომ 1968 წლის არჩევნებზე „მორიგი კატასტროფა" იქნება რესპუბლიკური პარტიისათვის.

ვიზიტი წარმატებით დამთავრდა

ვენა, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ ავსტრიის ფედერალური კანცლერი იოზეფ კლაუსი ვენაში დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მიწვევით.

შვეიცარის აეროდრომზე ჩამოსვლის შემდეგ ფედერალურმა კანცლერმა განცხადება გააკეთა დამთავრებული ვიზიტის შედეგების შესახებ.

ვიზიტის მიზნები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და აზრთა გაზიარებას ევროპის უშიშროების საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, სავსებით მიღწეულია, განაცხადა კლაუსმა. მან შემდეგ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს კონტაქტები დამყარდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და საბჭოთა ხალხთან. კლაუსმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ძალიან დიდ უურადღებას უთმობენ ევროპის პრობლემებს.

ჩინეთის კომკავშირის ბედი

დღემდე ბუნდოვანია ჩინეთის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ბედი, რომლის ხელმძღვანელობას „კულტურული რევოლუციის" დროს დევნიდნენ იმ საბაბით, თითქოს არ შეეხებიან ბოდეს „მაო ძე-დუნის იდეებს". როგორც ჩინეთიდან მიღებული ცნობებიდან ჩანს, ჩინეთში ჯერ კიდევ შარშან დაშალეს ჩინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და დახურეს მისი ორგანო — გაზეთი „ჯუნგო ცინნიან ბაო". მომდინარე წლის იანვარში ხუნვეიბინთა გაზეთმა „სინ ბეიდამ" გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „რევოლუციონერ ძაოფანთა კორპუსის" განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დაშალეს აგრეთვე ჩინეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დროებითი სამდივნო და ამ სამდივნოს „ყველა უფლება" „ძაოფანთა კორპუსს" გადაეცა.

ამას წინათ გაზეთმა „ხუნვეიბინ პინლუნმა" გამოაქვეყნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოლქებისა, საფინანსო და საგეგმო ორგანოების განყოფილების გამგე, ხულოს ოლქი.

ბუნაჩიძე ნინა თეფანის ასული — სოფ. კალოთას კოლმეურნეობის წევრი, ხიხაძირის ოლქი.

ბაბუაშვილი ალბერტ ბოლოვის-ძე — ბლოკმა „ბლოკი" ბოლოს ბოლოს ბოლოს

ქართველი მომღერალი — ლაურეატი

კუჩინის შესანიშნავი ოპერა ჩიო-ჩიო-სანი დიდი ხანია მსოფლიოს საუკეთესო ხაოპერო თეატრების რეპერტუარში დამკვიდრდა.

ოპერის ლიბრეტო ასახავს იაპონელი ქალის ბატერფლაის ტრაგიკულ ცხოვრებას. ეს ოპერა დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობს იაპონიაში.

ამ რამდენიმე დღის წინათ ტოკიოში მოეწყო მუსიკალური ფესტივალი ბატერფლაის საუკეთესო შემსრულებლების გამოსავლინებლად.

სიბეჭოთა კავშირიდან მიწვეული იყვნენ კიშინიოვის სახელმწიფო ოპერის თეატრის სოლისტი, მოლდავეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მარია ბიეშუ და კიევის შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, უკრაინის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლამარა ჭყონია.

საბჭოთა მომღერლებმა თავი ისახელეს. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ისინი საუკეთესონი იყვნენ. ფესტივალის ყიურიმ პირველი პრემია მიაკუთვნა მარია ბიეშუს, ხოლო მეორე წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს ლამარა ჭყონიას.

სურათზე: ლამარა ჭყონია ბატერფლაის როლში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მთის სოფლებში

ამბროლაურის რაიონში დიდი ყურადღება ექცევა მთიანი ზონის სოფლების საძრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების საკითხს. ამ მიზნით სოფლებში სხვადასხვა და ხონჭიორში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი ახალი უნიფერსალური მაღაზიები. პურის საცხობი აიგო ღვარდიის კოლმეურნეობაში.

აა. კერესელიძე.

დროშა — შეჯიბრების გამარჯვებულს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილეს შედეგები რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრებისა 1966-1967 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა უკეთ მომზადებისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ დროულად დავმთავრებინათ ახალი სკოლებისა და საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობა, მიეშენებინათ ახალი კორპუსები არსებული შენობებისათვის, დროულად ეწარმოებინათ კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეეძინათ ახალი ინვენტარი და მოწყობილობა კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის, ხოლო ახალი ლიტერატურა — სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.

განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი საყალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებისათვის, პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს ქალაქი **თბილისი**, რომელსაც მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ქალაქში სასწავლო წლის დაწყებისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულდა 1.462 ათასი მანეთის სამუშაოები, აქედან 1.250 ათასი მანეთი გაიღეს საზოგადოებრიგმა და საშეფო ორგანიზაციებმა. გამარჯვებულს დამატებით გამოეყო სახსრები სასკოლო ინვენტარისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად. (საქდესი).

კარგი საჩუქარი

ამ დღეებში გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში თედო რაზიკაშვილის ბინაში გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა. ბინა, რომელიც სამი ოთახისგან შედგება, თედო რაზიკაშვილის შვილმა ეთერ რაზიკაშვილმა უსასყიდლოდ გადასცა სასოფლო საბჭოს.

ივ. მაკრასიძე.

სტომატოლოგიური კაბინეტი თელავზე

მოსაწონი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურმა სტომატოლოგიურმა პოლიკლინიკამ. რაიონების მშრომელთა დასახმარებლად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მიავლინა ექიმ-სტომატოლოგთა ბრიგადა, რომლის განკარგულებაშია სპეციალური ავტომანქანა — სტომატოლოგიური კაბინეტი.

მოძრავი სტომატოლოგიური კაბინეტი მოემსახურა გეგეჭკორის, აბაშის, ჩხოროწყუს მშრომელებს: ამ დღეებში თბილისელი ექიმები ჩავიდნენ ცხაკაიას რაიონში, ეწვივნენ სოფელ ძველ სენაკს. მათ უკვე უმკურნალეს 500-ზე მეტ ავადმყოფს.

მოძრავ სამკურნალო დაწესებულებას სათავეში უდგას ექიმი სტომატოლოგი ირაკლი ტატიშვილი. პაციენტთა მადლობა დაიმსახურეს ექიმმა ტ. ბეუანმა, ტექნიკოსებმა გ. მალხაზიშვილმა, ლ. პანკინმა, მედიცინის დამ ნ. ციხელაშვილმა.

ს. კუჭავა.

კახეთის გზატკეცილზე, სოფელ მანავთან.

ფოტო ს. კილაძისა.

ეს აღმოჩნდა საირხეში

ანტიკური სარწყავსადენების

იშვიათი ძეგლი

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკები დიდი ხანია აწარმოებენ არქეოლოგიურ გათხრებს ზემო იმერეთში. ჯერ კიდევ 1957 წელს აკადემიკოს შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში მიაკვლია დიდი ზომის კვარცხლბეკებს. კვარცხლბეკები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეს განეკუთვნებიან, წარმოადგენენ გრანდიოზული არქიტექტურული ნაგებობის დეტალებს, რომლის მსგავსი დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არ ყოფილა. განსვენებული არქეოლოგი ნ. ღამბაშიძე, რომელმაც ბაზისები აღმოაჩინა, წლების განმავლობაში გულმოდგინედ ეძებდა საგულვებელ ტაძარს სოფელ საირხეში.

1966 წელს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია კვლავ ჩავიდა საჩხერის რაიონში და მუშაობა განაგრძო სოფელ საირხეში. დაზვერვითი სამუშაოების შემდეგ ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო ადგილ „ლომბინაურში". გათხრებისას მოწმის ზედაპირიდან 50 სანტიმეტრზე წავაწყდით საკმაოდ ფართო კედელს, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით იყო მიმართული. კედლის მშრალი წყობა იმაზე მიგვითითებს, რომ ნაგებობა წინაქრისტიანული ხანისა იყო. პირველ ფენაში აღმოჩენილი მოწითალო ფერის სამტეხი ჭურჭლის ფრაგმენტები ძვ. წ. III-I საუკუნეებს განეკუთვნება, ხოლო მომდევნო ფენაში აღმოჩენილი მრგვალსახელურიანი ფართოყელიანი დიდი ზომის ჭურჭელი, დაბალი ფიალები და აღმოსავლური იმპორტული კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი ძვ. წ. V-IV საუკუნეებზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

არქეოლოგიური ძეგლის თარიღის დადგენისათვის კერამიკულ ნაწარმს ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, საირხეში აღმოჩენილი რამდენიმე ასეული ფრაგმენტი მეტუვეულებს, რომ ნაგებობა ადრეანტიკური ხანისაა. მისი სიგრძე 11 მეტრია, სიგანე — 9,5 მეტრი. კუთხეები ზუსტად გამოკვეთილი თლილი კვადრებისაგან არის ამოყვანილი. კედლების სისქე ალაგ-ალაგ მეტრნახევარს აღწევს.

ამ ნაგებობის ჩრდილოეთის მხარეზე გათხრილ იქნა მეორე მცირე ზომის შენობა. შენობები ერთმანეთთან დაკავშირებულია ქვაფენილებით. ერთ შემთხვევაში ქვაფენილი დასავლეთით გრძელდება მიწის ფენაში და შესაძლებელია ეს იყოს გზა, რომელიც მიემართება სხვა, უფრო გრანდიოზული ნაგებობისაკენ. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ქართულ წარმართულ სარწმუნოებასთან თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული პანთეონი ჰქონდა. ამ პანთეონში ზოგი მთავარ ღვთაებად ითვლებოდა, ხოლო უმეტესობა უმცროს ღვთაებათა ჯგუფის განეკუთვნებოდა.

პირველ ნაგებობაში ჩვენ აღმოვაჩინეთ ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ნაგებები: მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან გამოკვეთილი ფალოსი და ნატიფად დამუშავებული ლომის თავის ქანდაკების ფრაგმენტი. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნაგებობა ნაყოფიერების ღვთაების სახელსა აგებული. მაგრამ სად არის ნაგებობა, რომელსაც ბაზისები განეკუთვნებოდა? ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი აქვეა საძებნელი.

ბუროოთმოძღვარმა გ. ლეუვამ აღნიშნულ არქიტექტურულ დეტალებზე დაყრდნობით აღადგინა საირხეში სავარაუდებელი ტაძარი. მკვლევარის აზრით, ამ ტაძრის სიგრძე 18 მეტრს უდრიდა, სიგანე 9 მეტრს, სიმაღლე მიწიდან ფრონტონის წვერამდე 7 მეტრს. შესაძლოა ეს ფაქტი ნაკლებად სარწმუნოდ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ წინაქრისტიანული ხანის საქართველოში რომ ტაძრები იდგა, ამის შესახებ არა ერთი და ორი საუკუნეებია „ცნობა მოეპოვებათ ძველ ბერძენ მწერლებს.

ცნობილი გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავს, რომ „მდინარე ფაზისის ზემოთ მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლეკოთეას ტაძარი, ფრიქსეს მიერ აგებული... ოდესღაც იგი მდიდარი იყო. ჩვენს დროს ფარნაკეს მიერ იქნა „გაძარცული", ხოლო მოგვიანებით მითრიდატ პერგამონელმა გაძარცვა". სტრაბონის ცნობიდან ირკვევა, რომ ლეკოთეას ტაძარი უდიდეს სიმდიდრეს ფლობდა, რადგან იგი მცირე დროის განმავლობაში ორჯერ გაუძარცვავთ. ამის შესახებ სტრაბონი ევრიპიდეს სიტყვებს იგონებს და დასძენს, რომ „როდესაც ქვეყანა უძლურდება, ღმერთების კუთვნილება სუსტდება და აღარ უნდათ მათი პატივისცემა".

ლეკოთეას ტაძარი აკადემიკოს ს. ჯანაშიას მოსხების ქვეყნის იმ ნაწილში



ეგულებოდა, რომელიც კოლხეთს ეკუთვნოდა. აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი ანტიკურ ხანაში მესხების საცხოვრისად გურია-აჭარისა და იმერეთის მთიანეთსაც მიიჩნევს. ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სტრაბონის მიერ მოხსენებული ტაძარი მაინც და მაინც საირხეში იდგა, მაგრამ ანგარიშგასაწევია მატერიალური კულტურის ნაშთი. ადრეანტიკური ხანის გრანდიოზული შენობის ფრაგმენტები დღეს მხოლოდ საირხეშია აღმოჩენილი. ამიერკავკასიის მიწაწყალი ჯერჯერობით არ იცნობს სხვა მის მსგავს არქიტექტურულ დეტალებს.

კლასიკური ხანის ბერძნულ არქიტექტურაში ლომის გამოსახულებას იყენებდნენ ტაძრების არქიტექტურული გაფორმების დროს, როგორც შენობის სამკაულს. ლომი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ძალისა და ძლიერების გამომხატველი სიმბოლო იყო და ხშირად ღვთაებასაც განასახიერებდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლომის ქანდაკებები ხშირად დადგმული იყო ტაძრებში ან მათს შესასვლელთან.

ქართული წინაქრისტიანული ხანის ხელოვნებაში მრავლად გვხვდება ლომის რელიეფური გამოსახულებები სხვადასხვა საგნებზე, მაგრამ ქვაში გამოკვეთილი მრგვალი ქანდაკებების სახით იგი არსად აღმოჩენილი არ ყოფილა. ძველ ბერძენ მწერლებს კი მოეპოვებათ ცნობა, რომ ასეთი ქანდაკებები საქართველოშიც იდგა. ფლავიუს არიანე ქალაქ ფაზისის აღწერისას მოგვითხრობს, რომ: „ფაზისის მარცხენა მაპირზე დგას ქალღმერთი ფასიანე... საფიქრებელია, რომ ეს არის რეა, ხელში მას წინწილი (ციმბალი) უჭირავს, მისი ტახტის ფეხებთან ლომებია აღმართული და თითონაც ისე ზის, როგორც ათენის ღმერთების დედის ტაძარ მეტრონში ფიდიასის ღვთაებას".

ღმერთების დედის, ანუ „დიდი დედის" კულტი საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. ქართველი ტომები, პროფესორ ვ. ბარდაველიძის გამოკვლევის თანახმად, მას თაყვანს სცემდნენ უძველესი ხანიდან. „ღმერთების დიდი დედა", რომელიც ქართულ საწესჩაეულებო სამღვერებში ნანად იწოდება (ივანანა, ვარდოვ ნანა, ნანაბატონო), წარმოადგენდა ნაყოფიერების, გაცოცხლებული ბუნების და სიყვარულის ღვთაებას. საირხეში აღმოჩენილი მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან შესანიშნავად გამოქანდაკებული საკულტო დანიშნულების საგნები განაყოფიერების სიმბოლურ გადმოცემას წარმოადგენენ. ლომის ქანდაკებაც შეიძლება დავუკავშიროთ ღმერთების დედის კულტს, ისე როგორც ეს ფლავიუს არიანეს დროს ფაზისში ყოფილა.

სად ცხოვრობდა ხალხი, რომელმაც ამ 2500 წლის წინათ შექმნა ხელოვნების ეს მაღალმხატვრული ნიმუშები? ეს საკითხი დაისვა ექსპედიციის წინაშე და მალე სოფლის დასავლეთით უზარმაზარ ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა ძველი ნამოსახლარი, სადაც მცირე მოცულობის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მატერიალური და მხატვრული კულტურის უძვირფასესი ძეგლები. ბრინჯაოსა და თიხისაგან გამოძერწილი ცხოველთა ქანდაკებები, ადამიანის გამოსახულებანი, ბრინჯაოს სამაჯურები, დანები, ქინძისთავები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სამეთუნეო ხელოსნობის მაღალმხატვრული ნაწარმი. მიუხედავად იმისა, რომ აქ საუკუნეების განმავლობაში მიწის ერთი მტკაველიც კი არ რჩებოდათ დაუმუშავებელი, ზოგიერთ ადგილას შენიშნულია სამეურნეო ნაგებობათა კვალი. აღმოჩენილი მასალები ძირითადად ძველი წელთაღრიცხვის XII-I საუკუნეებს განეკუთვნება.

ალექსანდრიელი მეცნიერი კლავდიოს პტოლემაიოსი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ცხოვრობდა, კოლხეთის აღწერისას ჩამოთვლის განვითარებულ პუნქტებს და მადიასა და სურიონთან ერთად ახახელებს სარაკეს. საირხის ეკლესიის კედელში ჩატანებულ ძველ საფლავის ქვაზე ამ სოფლის სახელი იკითხება როგორც სარიხე. შესაძლებელია მომავალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საშუალება მოგვცეს დავამტკიცოთ, რომ პტოლემაიოსის სარაკე საირხეს უდრიდეს ისე, როგორც ძველ ბერძენ მწერლებთან მოხსენებული მესხეტა მცხეთას, ხეფსიმეა — წიწამურს და სარაპანისი — შორაპანს.

ჯ. ნადირაძე,

საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის წინაფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, ექსპედიციის ხელმძღვანელი.

სურათებზე: ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ნივთები: (ზემოთ) მარმარილოს მსგავსი კირქვისაგან გამოკვეთილი საგანი (ძვ. წ. ა. V-IV ს.ს.); (ქვემოთ) ტაძრის ფრაგმენტი (ძვ. წ. ა. V ს.).

ფოტო ი. გილგენდორფისა.

პრეტენდენტთა ტურნირი — სუბოტიცაში

როგორც იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ ფიდეს აცნობა, მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ქალთა შორის დაიწყება ქ. სუბოტიცაში 7 სექტემბერს.

აი პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეთა სია: ნ. ალექსანდრია, ა. კისლოვა, ტ. ზატულოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია, ა. კუშნირი (ყველა საბჭოთა კავშირიდან), მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, ვ. ნედელკოვიჩი, ტ. შტადლერი (სამივე იუგოსლავიიდან), ა. ნიკოლაუ, მ. პერეგუზნაკი (ორივე რუმინეთიდან), გ. გრეხერი, ლ. ლეინი (ორივე აშშ-დან), ვ. ნოვარა (გდრ), ფ. ჰეიმსკერკი (ჰოლანდია), ვ. ახენოვა (ბულგარეთი), ა. ფრიდმანი (ისრაელი), შეჯიბრების ორი მონაწილის გვარი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. სულ ბრძოლაში 18 საერთაშორისო ოსტატი ჩაებმება. „ყოველი შემთხვევისათვის" დამტკიცებულია ასპარეზობაში მონაწილეობის კანდიდატთა სიაც, სადაც პირველი ადგილი უჭირავს ჰ. კონარკოვსკაიას (იუგოსლავია).

სპორტულ მომმოხილველთა შორის დიდი დავა მიმდინარეობს, თუ ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე. ეს კითხვა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებსაც დაუსვეს. აი ზოგიერთი მათგანის პასუხები.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნ. ალექსანდრია (თბილისი) — პრეტენდენტების ტურნირს მოიგებს რომელიმე საბჭოთა მოჭადრაკე. მაგრამ თუ ვინ იქნება, თავს ვიკავებ.

საერთაშორისო ოსტატი ა. კისლოვა (ომსკი) — გაიმარჯვებს ალექსანდრია ან ზატულოვსკაია.

საერთაშორისო ოსტატი ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — მეტისმეტად მინდა გავიმარჯვო პრეტენდენტების ტურნირში. მგონია კიდეც, რომ დავიკავებ პირველ ადგილს.

საერთაშორისო ოსტატი ვ. კოზლოვსკაია (პიტიგორსკი) — ჩემი აზრით, პირველ ადგილზე გამოსვლის დიდი შანსები აქვს ზატულოვსკაიას.

ოსტატი ე. რუბცოვა (მოსკოვი) — მე მინდა პირველი ადგილი დარჩეს კუშნირს ან ალექსანდრიას.

საერთაშორისო ოსტატი მ. რანიუ (ტალინი) — გაიმარჯვებს ერთ-ერთი საბჭოთა მოჭადრაკე.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ე. ბიგოსი (მოსკოვი) — გასაკვირველი არ არის, რომ საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონიც ჰყავს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც. მე ქართველ მოჭადრაკე ქალებს ახალ წარმატებებს ვუსურვებ.

ოსტატი ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი) — ადრე მიმაჩნდა, რომ პრეტენდენტების ტურნირში ზატულოვსკაია გაიმარჯვებდა. ახლა აზრი შეეცვალა. პირველი ადგილი ნიკოლაუს უნდა დარჩეს.

გ. გამრეკელი.

ლიდერის ფრე

ფაყაზეთელთა ლენინგრადის საკავშირო ტურნირზე გათამაშდა მორიგი ტური.

მოსკოვის დინამოელებმა ლვოველ თანაკლუბელებთან მატჩში ქულა დაკარგეს, მაგრამ მაინც ინარჩუნებენ ლიდერობას. შეხვედრის შედეგია 3:3, სსრ კავშირის ჩემპიონს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფოლკომარდობის ცენტრალური კუნძის გუნდს პაექრობა ჰქონდა ვოლგოგრადის სპარტაკელებთან. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა ბოლო წუთებში გატანილმა ბურთმა. ჩემპიონმა გაიმარჯვა 4:3.

ზედიზედ სამი დამარცხების შემდეგ თბილისის „დინამო" თამაშობდა კიეველ თანაკლუბელებთან. მეტოქეებმა 8 ბურთი გაიტანეს, მაგრამ წარმატება ამჯ ერთ მათგანს არ ხვდა — ფრე 4:4. კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის სსრ კავშირის ნაკრები. ამჯერად იგი შეხვდა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის (ბაქო) გუნდს და გაიმარჯვა 4:1.

„მეტალურგის" სტადიონზე

გასული წლის ბრინჯაოს პრიზიორი ბაქოს „ნეფტიანიკის" ფეხბურთელთა კოლექტივი გუშინ რუსთავს ეწვია და აქ ამხანაგური მატჩი გამართა ადგილობრივ „მეტალურგთან". შეხვედრა ბაქოელთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 6:0.

ნახევარი ქულის სხვაობით

ბელგრადი. 8 მარტის აღსანიშნავი საერთაშორისო შეჯიბრების 11 ტურის შემდეგ ლიდერობს ჩვენი მოჭადრაკე ტ. ზატულოვსკაია, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა ნ. გაფრინდაშვილი — 7,5 ქულა. მსოფლიო ჩემპიონმა ორ უკანასკნელ ტურში მოუგო იუგოსლავ მოჭადრაკეებს ივანოვიჩსა და ტიმოფეევს. (საკდესი).

სპორტული ქრონიკა

ნეაპოლი. სსრ კავშირის ჩემპიონებმა არმიის ცენტრალური სახპორტო კლუბის კალათბურთელებმა იტალიაში თავისი ტურნე დაიწყეს იმით, რომ დაამარცხეს მეორე ლიგის ადგილობრივი გუნდი „იგნისი". მოსკოველებმა მოიგეს ანგარიშით 72:66. არმიის ცენტრალური სახპორტო კლუბი კიდევ ოთხ მატჩს გამართავს იტალიის კლუბებთან.

მონაკო. სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის პირველი სენსაციის ავტორი გახდა. სრულიად მოულოდნელად მან წაგო ავსტრიელ პეტერ შულტაისთან — 2:6, 6:2, 4:6.

დორტმუნდი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში „კუნცე